

მედიაცია ქართულ ისტორიულ წყაროებში, მისი უპირატესობები, შესაძლო ნაკლოვანებები და სამართლებრივი რეგულირება, როგორც მათი აღმოფხვრის საშუალება

ანა გურიელი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტის აფელირებული ასისტენტი,
სამართლის დოქტორი, ადვოკატი

საკვანძო სიტყვები: ისტორია, დავა, გადაწყვეტა

შესავალი

საქართველოში, მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში, მედიაციის მედიაციის შესახებ კანონპროექტის შემუშავებისა და 2019 წელს მისი მიღების ფაქტი, შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც ეროვნული ინსტიტუტის დაახლოების მცდელობა დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ სტანდარტებთან. აღნიშნული კანონის შემუშავება უპირობოდ უმნიშვნელოვანესი ფაქტია, რაც თავის მხრივ, ადასტურებს ინსტიტუტთან დაკავშირებული ფუძემდებლური საკითხების სამართლებრივი მოწესრიგების უზრუნველყოფის მიმართულებით მუშაობის გაგრძელების აუცილებლობას. ხშირად ხომ კანონები ვერ აღწევს სასურველ შედეგს და მხოლოდ ცალკეული სამართლის ინსტიტუტის

დამკვიდრების სურვილის დეკლარირებას ახდენს.¹

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინსტიტუტის და ტერმინ „მედიაციის“ არსებობა ქართულ ისტორიულ წყაროებში, არ არის უცხო, საქართველოში მედიაცია განიხილება როგორც ახალი ინსტიტუტი, ეჭვები გამოითქმის მისი შესაძლო წარმატების ხარისხთან მიმართებითაც. ყურადღების მიღმა დარჩენილი მასთან დაკავშირებული რიგი სამართლებრივი საკითხები. საკმარისად არ არის შესწავლილი მისი უპირატესობები, კრიტიკოსთა მითითებები შესაძლო ნაკლოვანებების შესახებ და მათი აღმოფხვრის საშუალებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის მიზანია წარმოჩინდეს ქართულ ისტორიულ რეალობაში მედიაციის ინსტიტუტის არსებობა, რაც თავის მხრივ, მომავალში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მედიაციის ინსტიტუციონალური განვითარების პერსპექტივებს, სახელმწიფოს მასშტაბით მოქმედ, მართმსაჯულების განმახორციელებელ ერთიან ჯაჭვში; განსაზღვროს, მედიაციის, როგორც ინსტიტუტის, შესაძლო დადებითი შედეგები, კრიტიკოსთა მოსაზრებები მის ნაკლოვანებებთან მიმართებით და მათი აღმოფხვრის გზები.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოიყენება როგორც ზოგადმეცნიერული – ისტორიული, აგრეთვე, სპეციალური – ნორმატიული და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდები.

1. მორიგებითი დავების გადაწყვეტის გამოცდილება ქართულ სამართალში, როგორც მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის ისტორიული წინაპირობა

მედიაცია ქართული სინამდვილისათვის ნოვაციად არ შეიძლება ჩაითვალოს,

1 კერესელიძე დ., 2003. ჯეპლავის საქმიანობა იურიდიულ ცნებათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, ქართული სამართლის მიმოხილვა, N 4, გვ. 444.

ვინაიდან, ისტორიულად, საქართველოში სადავო საკითხის გადასაწყვეტად ხშირად მიმართავდნენ ავტორიტეტულ პიროვნებას.² საერთო კანონზომიერებაა, რომ სასამართლო წარმოებას, განვითარების პირველ საფეხურზე, აქვს მხარეთა შემრიგებლური, სამედიატორო ხასიათი. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო წარმოიშვა, სახელმწიფოს სახელით მოქმედი მოსამართლის საქმიანობა მოგვაგონებდა შუამავლის მოქმედებას.³ დადგენილია, რომ სასამართლოების უძველესი ფორმა სამედიატორო სასამართლო იყო. ასეთი სასამართლოები მოქმედებდა გვაროვნული წყობილების პერიოდში. ამრიგად, სამედიატორო სასამართლოს ძირითადი დანიშნულება იყო მხარეთა მშვიდობიანი მორიგება.⁴

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, რუსეთთან შეერთების წინ, გამოიყენებოდა ბჭეთა ანუ მედიატორობა სასამართლო. ბჭეები მხარეების მიერ არჩეული მოსამართლეები იყვნენ, რომლებიც მხოლოდ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით განიხილავდნენ დავებს. მხარეებს შეეძლოთ აერჩიათ ორ-ორი, სამ-სამი ან მეტი ბჭე. ბჭეები საქმეებს განიხილავდნენ სანივთო ურთიერთობების სფეროში, ვალდებულებით დავებს ურთიერთანგარიშსწორების შესახებ, მემკვიდრეობით დავებს. ბჭეთა სასამართლო ყოველთვის კოლეგიალური იყო. იგი ჩვეულებით სამართალს ეყრდნობოდა, ბჭე-მედიატორობა სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. თუმცა, ეს არ გამორიცხავდა საქმის ხელმეორედ განხილვის შესაძლებლობას. სასამართლო პროცესი, როგორც წესი, მიმდინარეობდა ზეპირად, წერილობითი სახით გადაწყვეტილებათა გაფორმება სავალდებულო არ იყო. ამასთან, ბჭედ შესაძლებელია არჩეუ-

2 ცერცვაძე ვ., 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი, გვ. 132.

3 ნადარეიშვილი გ., 2005. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, გვ. 59.

4 მეტრეველი ვ., 2009. ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, გვ. 395.

ლიყო ნებისმიერი პირი, როგორც საერო, ისე სასულიერო.⁵

ნიშანდობლივია, რომ „ბეჟა აღბუღას სამართლის წიგნი“, რომელიც შედგენილია XIII-XIV საუკუნეებში და შეტანილია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში (ვახტანგ ბატონიშვილის ბრძანებით შექმნილი საკოდიფიკაციო კომისიის მიერ 1705-1708 წლებში შედგენილი კანონთა კრებული. კრებულის მეშვიდე ნაწილს შეადგენს „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“, რომელიც შეიცავს შესავალსა და 270 მუხლს) მე-6 ნაწილად მიუთითებს „შუათაბრჭობის“ შესახებ, რაც მკვლევართა შეფასებით, შუაკაცთა მეშვეობით შეთანხმების მიღწევას და დაზავებას გულისხმობს. „შუადასხმულნი“, „შუაეთაშესვლით“, „შუათადახედვით“ – ეს ის ტერმინებია, რომლებიც არა სამეფო ხელისუფლების ნების გამომხატველ, არამედ, იმ არასამართლო ფუნქციის მატარებელ პირთა აღსანიშნავად გამოიყენება, ვისაც მხარეები ირჩევენ კონკრეტული საქმის განსახილველად.⁶ ბჭის საქმიანობა ბეჟა-აღბუღას სამართალში ბჭობად ან განბჭობად იწოდება.⁷

ამავე – ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შემავალი ბერძნული სამართლის ქართული ვერსიაც იცნობს მედიატორს, ბჭის სახელწოდებით: „უკეთუ ორსა კაცსა საჩივარი ჰქონდეს მოსამართლესთანა და არც ხელმწიფისა, არც პატრიარქისა, არც მიტროპოლიტისა, არც მოსამართლის საჩივარი და სამართალი არ მოინდომონ, და იმ ორთა ერთი კაცი გამოირჩიონ და იმასთან მივიდნენ, მოახსენონ, რომე ერთი საჩივარი გვაქვსო და რომელსაც თქვენ სამართალს გუიზამ, იმას ვჭერვართო, იმ მოსამართლეს ეწოდების ბჭე“ (მუხლი 136).⁸ ივანე

სურგულაძეც მიიჩნევს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნში, განსხვავებული შინაარსით არის ნახსენები მოსამართლე და ბჭე. ავტორი მიუთითებს სამართლის წიგნის მე-3 მუხლზე, სადაც საუბარია მოსამართლეზე და 215-ე მუხლზე, სადაც საუბარია ბჭეზე. ივანე სურგულაძის მოსაზრებით, 215-ე მუხლში კანონმდებელი ბჭეს ეხება და მის საქმიანობას განსხვავებულად აღწერს, ვიდრე მოსამართლის საქმიანობას: „მაშასადამე, ბჭე გაგებულია აქ როგორც შუამავალი მედიატორე“ – ამტკიცებს იგი.⁹

მიხეილ კეკელიას მიაჩნია, რომ ვინაიდან, ბერძნული სამართლის მთარგმნელად კვიპრიანე სამთავნელი ითვლება (ერისკაცობაში კობმა არაგვის ერისთავი), მას, როგორც ჩვეულებითი სამართლის ფართოდ გამოიყენებელი კუთხის მკვიდრს, კარგად უნდა სცოდნოდა მოდავეთა მიერ ამორჩეული სასამართლოს იურიდიული ბუნება და მისი სახელწოდებაც. ამიტომ 136-ე მუხლში აღწერილი ბერძნული აირეტოსკრიტე თარგმნა არა სიტყვასიტყვით – „გამორჩეული მოსამართლე“, არამედ, ქართველ მთიელთა ჩვეულებით სამართალში დამკვიდრებულ ბჭედ.¹⁰

მე-19 საუკუნის ძეგლში – „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“, აგრეთვე, საუბარია ბჭე მედიატორების ინსტიტუტზე.¹¹ ისიდორე დოლიძე, იკვლევს რა „ჩვეულებით სჯულს“, აღნიშნავს, რომ მე-60 მუხლში მითითებულია მოსამართლეთა სხვადასხვა კატეგორია: მედიატორი, ბჭე, მოსამართლე. ხაზგასასმელია, რომ მედიატორის ამორჩევა ხდებოდა მხარეთა მიერ. მოსამართლეთა დანიშვნა კი ხელმწიფის ბრძანებით.¹²

5 მეტრეველი ვ., 2009. ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, გვ. 410.

6 ტყემალაძე ს., 2016. მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბილისი, გვ. 16.

7 ონიანი ს., 2013. „ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ სამართალში“, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი #2, გვ. 16.

8 ონიანი ს., 2013. „ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ სამართალში“, თსუ იურიდიული

9 ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი #2, გვ. 16-17. სურგულაძე ი., 1952. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, თბილისი, გვ. 346-347.

10 კეკელია მ., 1973. ტერმინ ბჭის შინაარსისათვის ქართული სამართლის წიგნებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №4, თბილისი, გვ. 166.

11 ცერცვაძე გ., 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი თბილისი, გვ. 15.

12 დოლიძე ი., 1960. საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, გვ. 133-134.

მნიშვნელოვანია ასევე მიეთითოს ილია ჭავჭავაძის მოსაზრება მედიაციის თვისობრივი მახასიათებლებისა და სოციალური მნიშვნელობის შესახებ. რამდენადაც ცნობილია, კავკასიაში 1868 წელს გატარდა სასამართლო რეფორმა. ეს პერიოდი ცნობილია იმითაც, რომ ამ დროს, ილია ჭავჭავაძე მოღვაწეობდა ჯერ, როგორც მომრიგებელი, შუამავალი, (შუაკაცად, როგორც თვითონ უწოდებს) და რეფორმის შემდგომ, როგორც მომრიგებელი მოსამართლე.¹³ ინსტიტუტთან დაკავშირებით, ილიას მიდგომას ნათლად წარმოაჩინეს 1886 წლის 19 აპრილს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატია „მომრიგებელი სასამართლოების შესახებ“, სადაც ის დიდი მნიშვნელობის მქონედ აფასებს ოცდაათი მომრიგებელი მოსამართლის დამატებას ქართული მართლმსაჯულებისათვის. კერძოდ, ავტორი წერდა: „რაც უფრო ცხოვრება წინ მიდის, ურთიერთობა კაცთა შორის მით უფრო რთული ხდება, ალებ-მიცემობა ცხოველდება და მომრიგებელის სასამართლოს მნიშვნელობაც ჰმატულობს. სასამართლოს საქმეები ემატება და მცირე რიცხვი სასამართლოებისა ვეღარ აკმაყოფილებს ადგილის მართლმსაჯულების საჭიროებას. ხალხს სწრაფი და მარტივი, უფორმალურო სამართალი სჭირია. დარღვეულ უფლებასა მსწრაფლ აღდგინება უნდა“.¹⁴

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ საქართველოს ისტორიაში მორიგებისა და მედიაციის ინსტიტუტის ერთგვარი გამოცდილება არსებობს. აქედან გამომდინარე, დროთა განმავლობაში მასთან დაკავშირებული საკითხების საკანონმდებლო დონეზე სრულყოფილი რეგულირება, ერთგვარ კანონზომიერებად უნდა შეფასდეს.

2. მედიაციის უპირატესობები

მათთვის, ვისაც უყვარს გამოწვევები, მედიაციაში ჩართულობა ბუნებრივი მოწოდებაა.¹⁵ მედიაცია მოლაპარაკების მცდელობაა, სადაც ნეიტრალური პირი – მედიატორი დაპირისპირებულ მხარეებს ან/და მათ წარმომადგენლებს ეხმარება კონფლიქტის ურთიერთსასარგებლო შეთანხმებით დასრულებაში. ის შეთანხმების პირობებზე გავლენას არ ახდენს, მედიაციის პროცესს უძღვება და მონაწილე მხარეებს ეხმარება შეთანხმებას მიაღწიონ უფრო სწრაფად, ვიდრე ისინი ამას დამოუკიდებლად შეძლებდნენ. ამასთან, მედიატორი წარმოადგენს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ პირს, რომელიც მხარეებს ეხმარება კონსენსუსის მიღწევაში. მედიაციის მთავარი არსი და დანიშნულება, რაც მისი გამოვლინების ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში დომინირებს გახლავთ ის, რომ აღდგეს და შენარჩუნდეს ის ურთიერთობები, რაც მხარეთა შორის არსებობდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის ერთ-ერთი მიზანი სოციალურია და წარმოადგენს უპირატესად ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნებას.¹⁶ მედიაციაში მთავარი არის კონკრეტულ ინტერესებზე აქცენტირება და მხარეების კონცენტრაცია აღნიშნული მიმართულებით (Harvard Concept).¹⁷ მედიატორები ცდილობენ მშვიდობის უზრუნველყოფას, არიან გარკვეული ქარიზმის მატარებელი, რაც მხარეებს აღუძრავს მორიგების სურვილს. ამასთან, მათი როლი კომპლექსურია. ერთის მხრივ, პროცესუალური თვალსაზრისით, ისინი ცენტრალურ ფიგურას უნდა წარმოადგენდნენ, ხოლო მეორეს მხრივ, საქმის შედეგებზე გავლენას არ უნდა ახდენდნენ, რაც მედიაციის ერთ-ერთი არსებითი პრინციპია.¹⁸

13 ტყემალაძე, ს., 2016. მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბილისი, გვ. 18.
 14 ჭავჭავაძე ი., 1886. მომრიგებელი სასამართლოების შესახებ, გაზეთი ივერია #86, თბილისი.

15 Hoffman, D., 2002. Paradoxes of Mediation, Dispute Resolution Magazine, p. 23.
 16 ცერცვაძე ვ., 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, გვ. 11.
 17 Fisher R., Ury W., 1993. Getting To Yes: Negotiating Agreement without Giving In, p. 59.
 18 Hoffman, D., 2002. Paradoxes of Mediation, Dispute

ამასთან, მედიაციას შეუძლია განახორციელოს არამხოლოდ კონკრეტული პირების ცნობიერების ტრანსფორმაცია ყოველი ინდივიდუალური საქმისწარმოების პირობებში, არამედ, მოახდინოს საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა დავის გადაწყვეტის საშუალებებთან მიმართებით.

მედიაციის დადებითი ნიშანია ისიც, რომ მისი წარმატებული დასრულება ნიშნავს ორივე მოდავე მხარის „მოგებულ პოზიციას“, მაშინ, როდესაც დავის ტრადიციული გადაწყვეტის საშუალებები ეფუძნება პრინციპს „მოგება-წაგება“, რაც ერთი-ერთი მხარის არახელსაყრელ მდგომარეობაში უპირობო აღმოჩენას ითვალისწინებს.¹⁹ გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მედიაცია არ დასრულდება შეთანხმებით, მისმა მართებულმა განვითარებამ შესაძლებელია ზეგავლენა იქონიოს დამკვიდრებული ატმოსფეროს შეცვლასა და შემდგომი საპროცესო მოქმედებების მეტად ხელსაყრელ მსვლელობაზე.²⁰

ამასთან, მედიაციის პოპულარობა არსებითად განსაზღვრა მისმა ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებულ პროცესად ფორმირებამ,²¹ რაც შესაძლებელია გახდეს საზოგადოების ნდობის ზრდის საფუძველი, მისი, როგორც საკანონმდებლო დონეზე მხარდაჭერილი ინსტიტუტის მიმართ.

3. მედიაციის შესაძლო ნაკლოვანებები და მათი აღმოფხვრის გზები

მედიაციის მოწინააღმდეგეთაგან, ხშირად გამოითქმის მოსაზრებები, რომ მოლაპარაკების წარმოება ყოველთვის არ შეიძლება იყოს საუკეთესო არჩევანი. ზო-

Resolution Magazine, p. 25.
 19 Bannink F., 2008. Solution Focused Mediation, Trial Excellence, p.13.
 20 Hughes P., 2001. Mandatory Mediation: Opportunity or Subversion, Windsor Yearbook of Access to Justice, p. 177.
 21 Sherill J., 2012. Ethics for lawyers representing clients in mediation, Americal journal for mediation, p. 29.

გიერთ შემთხვევაში, მხარეთა ინტერესების დაკმაყოფილებისათვის, საუკეთესო გადაწყვეტა უნდა იყოს არა მორიგება, არამედ მათი დავის მესამე პირის (მოსამართლის ან არბიტრის) მიერ გადაწყვეტა.²² მათი განცხადებით, მედიაცია ვერ იქნება წარმატებული ვერც არათანასწორი მხარეების დავის შემთხვევაში.²³

აგრეთვე ჩამოყალიბებულია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მედიაციის დამკვიდრებამ, შესაძლებელია მოახდინოს მართლმსაჯულების „პრივატიზაცია“ და მართლმსაჯულების განხორციელების კერძო პირთა ხელში აღმოჩენა, რითაც საფრთხე შეექმნება სამართლის სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას, რაც ერთი მხრივ, წარმოადგენს გარკვეულ საფრთხეს, თუმცა აღნიშნული უფრო ჰიპოთეტურ მოსაზრებად უნდა იქნეს მიჩნეული და მსგავსი იდეების გამავრცელებელთა ნაკლებ ინფორმირებულობით უნდა აიხსნას მედიაციის შესახებ, ვიდრე მედიაციის უარყოფით მხარედ იქნეს მიჩნეული, რადგან დავის ალტერნატიული საშუალების ამ მექანიზმის სწორი დანერგვა ნებისმიერ სახელმწიფოში, ისევე როგორც მის შესახებ საზოგადოების სრული ინფორმირებულობა აღნიშნულ რისკებს მინიმუმამდე დაიყვანს.²⁴

მოსაზრებები გამოთქმულია იმის შესახებაც, რომ მედიაცია სასამართლოს ხელს უშლის განმარტოს სამართლის ნორმები, ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობის დამკვიდრებას და მეტიც – შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეას. კრიტიკოსთა შორის იყო იელის უნივერსიტეტის პროფესორი ოვენ ფიზი, რომელმაც 1984 წელს იელის უნივერსიტეტის სამა-

22 Glick T., 2012. Creative Mediation, North Charleston, p. 99.

23 Leviton S. C., Greenstone J. L., 2004. Elements of Mediation, Printed in the United States of America, p. 38.

24 ყანდაშვილი ი., 2018. საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 53-54.

რთლის ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია „მორიგების წინააღმდეგ“. მისი მოსაზრებით, მორიგების მეთოდი შესაძლებელია გამოიყენებოდეს მშვიდობის მისაღწევად, თუმცა, იგი ვერ უზრუნველყოფს თანასწორობის დამკვიდრებას. ავტორს მორიგების ალტერნატივა არ მიაჩნია სამართლისა და სამართლიანობის განხორციელების შესაძლებლობად.²⁵

შესაბამისად, საყურადღებოა, თუ რა მიმართულებით უნდა იყოს წარმართული სახელმწიფო პოლიტიკა, მედიაციის მითითებული, „სუსტი მხარეების“ აღმოფხვრის მიზნით. სახელმწიფო ხომ ხალხისთვის არის შექმნილი. მისი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ელემენტია არა მარტო დემოკრატიული ლეგიტიმაცია, არამედ, „მოქალაქეებთან სიახლოვე“ და „მოქალაქეებზე ორიენტირებულობა“.²⁶ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნებისმიერი საშუალების საკანონმდებლო დონეზე განმტკიცების შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას იმგვარი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ამგვარი პროგრამების საუკეთესო სახით იმპლემენტაციას.²⁷

3.1. სამართლებრივი რეგულირება, როგორც მედიაციის მიმართ სანდოობის ზრდის წინაპირობა

სხვადასხვა სამართლებრივ კულტურათა მასშტაბით, მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის პროცესების კვლევის შედეგად ვლინდება, რომ გამოიხატება მედიაციის რეგულირების ორი ძირითადი მოდელის არსებობა: სახელმწიფოები, რომელთა მასშტაბით მედიაციის პროცესი ვრცელ რეგულირებას (ე.წ. Extensive regulation) ექვემდებარება და ქვეყნები, სადაც, მედიაცია ვიწრო რეგულირების (ე.წ. Restrained

regulation) საგანია. ვრცელი მოწესრიგების მაგალითებად მიიჩნევენ საფრანგეთს, იაპონიასა და ავსტრიას, ხოლო ვიწრო რეგულირების მაგალითია ნიდერლანდები.²⁸

სახელმწიფოებში, სადაც იკვეთება ვრცელი რეგულირების არსებობა, მედიაცია მეტი წარმატებით სარგებლობს. ამის გათვალისწინებით, საქართველოს რეალობაშიც, მედიაციის შესახებ კანონის ამოქმედების პარალელურად, რეკომენდირებული იქნებოდა მედიაციის პროცესის მაღალი სტანდარტით რეგულირება (მაგალითად, მედიაციის ეთიკის კოდექსის ცალკეული სახით ამოქმედება). აღნიშნული, დიდწილად გამორიცხავს ინსტიტუციონალიზაციის პროცესში წამოჭრილი საფრთხეების პრაქტიკაში რეალიზებას.

3.2. სასამართლო მედიაციის ფორმების სრულყოფილი განსაზღვრულობა, როგორც მედიაციის მიზნების განხორციელების წინაპირობა

იმისათვის, რომ თითოეული ინდივიდუალური საქმისწარმოების შემთხვევაში, მედიაცია იყოს წარმატებული, აუცილებლად მიიჩნევა მედიაციის იმ კონკრეტული ფორმის განხორციელება, რომელიც მოცემულ შემთხვევას მეტად შეესაბამება.

საერთაშორისოსამართლებრივ სივრცეებში აღიარებულია, რომ მედიაციის ძირითადი ფორმების თვალსაზრისით დომინირებს: სასამართლო (სავალდებულო) და სასამართლოს გარე (კერძო) მედიაცია, რომელიც ნებაყოფლობითი მედიაციის სახელწოდებითაც მოიხსენიება. თავის მხრივ სასამართლო მედიაცია ორგვარია: 1. სასამართლოსთან არსებული მედიაცია (Court-annexed mediation²⁹), რომელიც ინსტიტუციურად არის კოორდინაციაში სასამართლოსთან, თუმცა, პროცედურულ-

25 Fiss O., 1984. Agianst Settlement, The Yale Law Journal, Vol. 93, p. 1073-1090.
26 ხუბუა გ., ყალიჩავა კ., 2018. ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბილისი, გვ. 174.
27 Vieira L., 2015. Designing a Court-Annexed Mediation Program for Civil Cases in Brazil: Challenges and Opportunities, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, p. 2.

28 Klaus J., Steffek f., 2013. Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, p. 614.
29 Steffek F., 2012. Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, p.1163.

ლად აბსოლუტურად დამოუკიდებელია სასამართლოსგან, როგორც ცალკე მდგომი ინსტიტუცია.³⁰ 2. სასამართლო მედიაცია (Judicial mediation)³¹, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოსთან შენობისა და პერსონალის კუთხით. მედიაციის მსგავსი ფორმის დროს, მედიატორი შეიძლება იყოს მოქმედი მოსამართლე.³²

რამდენადაც აღინიშნა, საქართველოში მედიაციის სუბსტანციის აღქმა და მისი სამართლებრივი რეგულირება საქართველოში ჩანასახოვან ეტაპზეა. შესაბამისად, ინსტიტუტის მარეგულირებელი სისტემური საკანონმდებლო აქტ(ებ)ი არსობრივად, ითვალისწინებენ სასამართლო მედიაციის გამოვლინების მხოლოდ ერთ-ერთ მითითებულ ფორმას – სასამართლოსთან არსებულ მედიაციას (Court-annexed mediation), რამეთუ, ქართულ რეალობაში მოსამართლე ან/და სასამართლო მოხელე მედიატორის უფლებამოსილებით არ სარგებლობს. ამის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ფუნდამენტური რეკომენდაცია, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მედიაციის მიზნების განხორციელებას, შემდეგია:

სასამართლო და სასამართლოს გარე/კერძო მედიაციის ურთიერთგამიჯვნის პარალელურად, რაც განხორციელდა მედიაციის შესახებ კანონის მიღებით, რეგულაციურად მიგვაჩნია საკანონმდებლო დონეზე აისახოს სასამართლო მედიაციის ორი, მითითებული – სასამართლო/სასამართლოსმიერი და სასამართლოსთან არსებული მედიაციის ურთიერთგანსხვავებული ფორმები. აღნიშნული, ხელს შეუწობს, როგორც საქართველოს პრაქტიკაში თანამედროვე პერიოდამდე დანეგრილი-სა-

სამართლოსთან არსებული მედიაციის განვითარებას, აგრეთვე, სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის აღმოცენების პერსპექტივას (მედიაციის ფორმების გამიჯვნის აუცილებლობასთან დაკავშირებით იხ. ი. ყანდაშვილის სადისერტაციო ნაშრომი: საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, 2018).

შედარებითსამართლებრივი თვალსაზრისით, ნორვეგიაშიც, მედიატორის ფუნქცია, შესაძლებელია, შეითავსოს მოსამართლე-მედიატორმა, ხოლო მის მიერ წარმოებული მედიაციის პროცესები შესაძლებელია ჩატარდეს სასამართლოს შენობის გარეთ.³³ შვედეთის სამართლებრივ სისტემაშიც, გამორჩეული წარმატებით სარგებლობს სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის პროცედურები, რაც, ერთის მხრივ, მისმა წარმატებულმა შედეგებმა, ხოლო მეორეს მხრივ იმან განსაზღვრა, რომ აღნიშნული პროცედურები მხარეთათვის უფასოა და არ იწვევს დამატებითი ხარჯების გაღების აუცილებლობას. აღნიშნული მიდგომის განხორციელებამ შვედეთის სასამართლო სისტემა მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოდან გარდაქმნა უწყებად, სადაც კონფლიქტები მშვიდობიანი გზით შეიძლება გადაწყდეს.³⁴

დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში ცალსახად განისაზღვრა, რომ სამართლის მზარდი უნიფიკაციის პროცესის კვალდაკვალ, რეგულაციურია ნაციონალური კანონმდებლობის სრულყოფა მედიაციის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების შედეგად ლეგიტიმირებული ინსტიტუტის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის

30 Lindblom P.H., 2017. Progressive Procedure, *Iustus*, p. 422.

31 Brunet E., 2002. Judicial mediation and signaling, *Nevada law journal*, p. 232.

32 Steffek F., 2013. Mediation und Güterichterverfahren, *Zeitschrift für Europäisches Privatrecht, (ZEuP) #3*, Verlag C.H.Beck, München, p. 538. მითითებულია: ყანდაშვილი ი., 2018. საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, გვ. 184.

33 Skoghoy T., 2018. Mediation in Norway – An outline, p. 1-3.

34 Dahlqvist A., 2014. Mediation in the Swedish Courts: Change by EU Directive? pp. 137-155.

დახვეწის თვალსაზრისით. მით უფრო იმ ფონზე, რომ როგორც ამას კვლევა ცხადყოფს, საქართველოსთვის, ისტორიული თვალსაზრისით, მედიაციის ინსტიტუტისა და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის არსებობა, უცხო არ არის.

კვლევის ფარგლებში დადგინდა მედიაციის რიგი თანმდევი დადებითი შედეგები; განისაზღვრა მედიაციის მოწინააღმდეგე კრიტიკოსთა მოსაზრებები და წარმოდგენილია რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ მითითებული რისკების შემცირებას.

- მიზანშეწონილია, საქართველომ აირჩიოს მედიაციის რეგულირების ვრცელი მოდელი, რაც გაითვალისწინებს პრაქტიკასა თუ თეორიაში გამოვლენილი თითოეული რელევანტური საკითხის საკანონმდებლო დონეზე რეგულირებას (მაგ. ცალკეული სახით ეთიკის კოდექსი). აღნიშნულმა, შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსაზღვროს საზოგადოების ნდობა მედიაციის მიმართ; აგრეთვე, ამ თვალსაზრისით იურისტთა პროფესიული თვალსაზრისის

გათვართობა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მედიაციის ინსტიტუციონალიზაციას.

- დადგინდა, რომ უპირველეს ყოვლისა, საქართველოში მედიაციის შესახებ კანონით სრულყოფილ რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს მედიაციის ფორმები. კერძოდ, უნდა დადგინდეს განსხვავება სასამართლო მედიაციის ორ ფორმას – სასამართლოსთან არსებულ (Court-annexed mediation) და სასამართლო/სასამართლოსმიერ (Judicial mediation) მედიაციას შორის. თეორიასა თუ პრაქტიკაში ტერმინთა ურთიერთაღრევის რისკის თავიდან აცილების მიზნით, ტერმინი – სასამართლო მედიაცია უნდა აერთიანებდეს მისი გამოვლინების ორივე ფორმას; ხოლო სასამართლო მედიაციის ფორმები საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს სასამართლოსთან არსებული და სასამართლო/სასამართლოსმიერი მედიაციის სახელწოდებით.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. <https://www.matsne.gov.ge>
2. მედიაციის შესახებ საქართველოს კანონი. <https://www.matsne.gov.ge>

MEDIATION IN GEORGIAN HISTORICAL SOURCES, ADVANTAGES, POSSIBLE DISADVANTAGES AND EXISTENCE OF LEGAL REGULATION AS A WAY OF THEIR ELIMINATION

Ana Gurieli

*Affiliate Assistant of the Faculty of law at the Caucasus
International University, Doctor of Laws, Lawyer*

KEYWORDS: History, Dispute, Resolution

RESUME

Despite of the existence of the institute and the term “mediation” in the Georgian historical sources, mediation in Georgian reality is thought to be a new institution, besides, doubts exist with regard to its possible success. Additionally, apart from the adoption of the law on mediation, a number of issues still need to be regulated. In the conditions of the institutionalization of mediation, its successful functioning, with other means of dispute resolution, is not only the subject of private interest during individual proceedings, but also the fact of public importance. Considering this fact, the advantages of mediation have to be explored, the disadvantages have to be stated and the ways have to be found for the purposes of their mitigation. These measures will assist in the process of the perfection of the legislation and the development of the institute. Taking into account the relevance of the issue, the paper demonstrates the existence of Mediation Institute in the Georgian historical reality that will be supportive for the institutional development of the state’s justice system.

NOTES:

1. Kereselidze D., 2003. Geplak's Work Developing a Unified System of Legal Concepts, *Georgian Law Review*, N 4, p. 444. (In Georgian)
2. Tsertsvadze G., 2013. Prospects of Legal Regulation of Mediation in Georgia, *National Center for Alternative Dispute Resolution Tbilisi*, p. 132. (In Georgian)
3. Nadareishvili G., 2005. *History of the Georgian State and Law*, Tbilisi, p. 59. (In Georgian)
4. Metreveli V., 2009. *History of Georgian Law*, Tbilisi, p. 395. (In Georgian)
5. Metreveli V., 2009. *History of Georgian Law*, Tbilisi, p. 410. (In Georgian)
6. Tkemaladze S., 2016. *Mediation in Georgia: From Tradition to Modernity*, Tbilisi, p. 16. (In Georgian)
7. Oniani S., 2013. For the meaning of the term judge in ancient Georgian law, *TSU Law Faculty Journal # 2*, p. 16. (In Georgian)
8. Oniani S., 2013. "For the meaning of the term judge in Georgian law, *Journal of TSU Law Faculty # 2*, p. 16-17. (In Georgian)
9. Surguladze I., 1952. For the History of the State and Law of Georgia, *Tbilisi*, p. 346-347. (In Georgian)
10. Kekelia M., 1973. The term of judge in Georgian law books, *Georgian Academy of Sciences*, No. 4, Tbilisi, p. 166. (In Georgian)
11. Tsertsvadze G., 2013. Prospects for Legal Regulation of Mediation in Georgia, *National Center for Alternative Dispute Resolution Tbilisi*, p. 15. (In Georgian)
12. Dolidze I., 1960. *The Customary Law of Georgia*, Tbilisi, p. 133-134. (In Georgian)
13. Tkemaladze, S., 2016. *Mediation in Georgia: From Tradition to Modernity*, Tbilisi, p. 18. (In Georgian)
14. Chavchavadze I., 1886. *Conciliatory Courts*, *Iveria Newspaper # 86*, Tbilisi.
15. Hoffman, D., 2002. *Paradoxes of Mediation*, *Dispute Resolution Magazine*, p. 23. (In English)
16. Cercvadze G., 2013. The prospects of the regulation of mediation in Georgia, *National center for alternative dispute resolution*, Tbilisi, p. 11. (In Georgian)
17. Fisher R., Ury W., 1993. *Getting To Yes: Negotiating Agreement without Giving In*, p. 59. (In English)
18. Hoffman, D., 2002. *Paradoxes of Mediation*, *Dispute Resolution Magazine*, p. 25. (In English)
19. Bannink F., 2008. *Solution Focused Mediation*, *Trial Excellence*, p.13. (In English)
20. Hughes P., 2001. *Mandatory Mediation: Opportunity or Subversion*, *Windsor Yearbook of Access to Justice*, p. 177. (In English)
21. Sherill J., 2012. *Ethics for lawyers representing clients in mediation*, *Americal journal for mediation*, p. 29. (In English)
22. Glick T., 2012. *Creative Mediation*, *North Charleston*, p. 99. (In English)
23. Leviton S. C., Greenstone J. L., 2004. *Elements of Mediation*, *Printed in the United States of America*, p. 38. (In English)
24. Khandashvili I., 2018. *Judicial and non-judicial forms of alternative dispute resolutions in Georgia on the example of mediation*, *Ivane Javakhishvili Tbilisi State University*, p. 53-54. (In Georgian)
25. Fiss O., 1984. *Agianst Settlement*, *The Yale Law Journal*, Vol. 93, p. 1073-1090. (In English)

26. Khubua G., Kalichava K., 2018. Administrative Science Handbook, Tbilisi, p. 174. (In Georgian)
27. Vieira L., 2015. Designing a Court-Annexed Mediation Program for Civil Cases in Brazil: Challenges and Opportunities, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, p. 2. (In English)
28. Klaus J., Steffek f., 2013. Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, p. 614. (In English)
29. Steffek F., 2012. Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, p.1163. (In English)
30. Lindblom P.H., 2017. Progressive Procedure, Iustus, p. 422. (In English)
31. Brunet E., 2002. Judicial mediation and signaling, Nevada law journal, p. 232. (In English)
32. Steffek F., 2013. Mediation und Güterichterverfahren, Zeitschrift für Europäisches Privatrecht, (ZEuP) #3, Verlag C.H.Beck, München, p. 538. (In German)
33. Skoghoy T., 2018. Mediation in Norway – An outline, p. 1-3. (In English)
34. Dahlqvist A., 2014. Mediation in the Swedish Courts: Change by EU Directive? pp. 137-155. (In English)

BIBLIOGRAPHY:

1. The civil procedure code of Georgia. <https://www.matsne.gov.ge> (In Georgian)
2. Law about the Mediation of Georgia. <https://www.matsne.gov.ge> (In Georgian)